პარასკევის ქადაგება

1445/11/16ﮪـ

სათაურით

ჰაჯობა მორჩილებაა, რომელსაც ახლავს მორჩილებანი

პატივცემული შეიხ
დოქტორი

აბდულ მუჰსინ ბნუ
მუჰამმად ალ-ყაასიმ

a-alqasim.com

ჰაჯობა მორჩილებაა, რომელსაც ახლავს მორჩილებანი[1]

ქება - დიდება ალლაჰს, ჩვენ მას ვადიდებთ, მას ვთხოვთ შეწევნას და პატიებას, ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულებისა და საქმეების სიავისგან. ვისაც ალლაჰი დაადგენს სწორ გზაზე, მას არ ჰყავს გზის ამბნევი, ხოლო ვისაც ის აუბნევს გზას, მას არ ჰყავს სწორ გზაზე დამდგენი. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰმა დალოცოს ის, მისი ოჯახი და მისი საჰაბები უამრავი დალოცვით.

ამის შემდეგ:

გეშინოდეთ ალლაჰის - ალლაჰის მონებო - ჭეშმარიტი შიშით, გეშინოდეთ მისი ჩუმად და აშკარად.

ჰეი, მუსლიმებო:

ყოვლად მაღალმა ალლაჰმა შექმნა ქმნილებები მისთვის თაყვანისცემად, და უბრძანა მათ მორჩილება, აუკრძალა მათ ურჩობა. დააწესა მათზე განსხვავებული მნიშვნელობის ვალდებულებები, რომელთაგან ერთი მისთვის უფრო საყვარელია, ვიდრე მეორე.

უდიდესი მორჩილება და ალლაჰთან საუკეთესო დაახლოების გზა არის: ჰაჯობა ალლაჰის აკრძალულ სახლში, რომელიც არის ისლამის საფუძვლებიდან ერთ-ერთი. შეეკითხეს შუამავალს ﷺ: „რომელის საქმეა საუკეთესო? თქვა: ალლაჰის და მისი შუამავლის რწმენა, თქვეს: შემდეგ რომელია? თქვა: ჯიჰადი ალლაჰის გზაზე. თქვეს: შემდეგ რომელი? თქვა: უნაკლო ჰაჯობა“. (შეთანხმებული)

---

[1] ეს ქადაგება ჩავატარე ზულ ჰიჯჯას მეთექვსმეტე რიცხვში, ათას ოთხას ორმოცდახუთ წელს ჰიჯრით, შუამავლის მეჩეთში

ალლაჰმა დაიფიცა დროით, რომელში ის მოდის(ჰაჯობა) და თქვა:

„და ათ ღამეს“. (ალ-ფაჯრ: 2)

და დაიფიცა ადგილით, სადაც ის სრულება; და თქვა:

„ვფიცავ ამ ქალაქს(მექას)“. (ალ-ბალად: 1)

და დიდებულმა აარჩია მისთვის საუკეთესო ადგილი, და შეიყვარა ის, რომ მის მიწაზე შესრულდეს ჰაჯობის რიტუალი. დედამიწაზე არც ერთი ადგილი არ არის, რომლის გარშემოც ტავაფის შემოვლა ხდება, გარდა დალოცვილი ქააბისა. ეს არის ვალდებულება და ალლაჰთან დაახლოება. თქვა შუამავალმა ﷺ: „ჰეი ადამიანები! ალლაჰმა დაგავალდებულათ, რომ შეასრულოთ ჰაჯობა და შეასრულეთ ის!“ (გადმოსცა მუსლიმმა)

მისი მადლი იწყება ჰაჯობის რიტუალში შესვლის მომენტიდან, როგორც კი დაიწყებს თალბიას: მასთან ერთად თალბიას იმეორებს ყველა სველი თუ მშრალი, რაც მიწაზეა. თქვა შუამავალმა ﷺ: „არც ერთი თალბიას წარმომთქმელი არ ამბობს თალბიას გარდა იმისა, რომ არ იმეორებდეს მასთან ერთად თალბიას, რაც მის მარჯვნივა და რაც მის მარცხნივა ქვებიდან, ხეებიდან და მიწიდან მანამ, სანამ მიწა არ გასკდება აქედან და აქედან“. (გადმოსცა იბნ მააჯამ)

მისით იწმინდება ცოდვებისა და შეცდომების ჭუჭყი; თქვა შუამავალმა ﷺ : „ჰაჯობა ანგრევს ყველაფერს, რაც მის წინ იყო“. (გადმოსცა მუსლიმმა)

ის არის ჰაჯისთვის ცოდვებისგან განწმენდის აქტი, და ის თავისუფლდება ყოველგვარი ურჩობისა და შეცდომებისგან. თქვა შუამავალმა ﷺ : „ვინც შეასრულებს ჰაჯობას, არ წარმოთქვამს ბილწ სიტყვებს და არ გააკეთებს რაიმე ცუდ საქციელს, დაბრუნდება ისე, როგორც გააჩინა მისმა მშობელმა“. (შეთანხმებული)

პილიგრიმები ალლაჰის დელეგაცია არიან, რომლებიც ალლაჰის გულუხვობას ეძიებენ; თქვა შუამავალმა ﷺ : „ალლაჰის დელეგაცია სამია: მოწამე, პილიგრიმი და მუ'თამირი". (გადმოსცა ნასაიმ) და ალლაჰი ამაყობს მათით ანგელოზების წინაშე.

თქვა ალლაჰის მოციქულმა ﷺ : „არ არსებობს დღე, რომელშიც ალლაჰი ათავისუფლებდეს ცეცხლისგან უფრო მეტ მონას, ვიდრე არაფატის დღეს, ჭეშმარიტად ის უახლოვდება მათ და ამაყობს მათით ანგელოზების წინაშე და ამბობს: რა სურთ ამათ?" (გადმოსცა მუსლიმმა),

თქვა იბნ აბდულ ბარმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „ეს მითითებს იმაზე, რომ ალლაჰის პატიობს მათ; რადგანაც ის არ ამაყობს ცოდვილი ადამიანებით, გარდა მათი მონანიების და პატიების თხოვნის შემდეგ".

და ვინც შეასრულებს ჰაჯობის ყველა საფუძველს და ვალდებულებას გულწრფელად - არ ექნება მას ცოდვა და მისი საზღაური სამოთხეა; თქვა შუამავალმა ﷺ : „სრულყოფილი ჰაჯობის საზღაური მხოლოდ სამოთხეა". (შეთანხმებული)

ჰაჯობა არის მორჩილება, რომელსაც ახლავს მოთმინებანი, რომელიც სავსესა სიკეთით, სარგებლობითა და საუკეთესო გაკვეთილით, რასაც მიიღებს მორწმუნე. თქვა ალლაჰმა:

,,რათა დაამოწმონ თავიანთი სარგებელი". (ალ-ჰაჯჯ: 28)

თქვა ალ-ყურტუბიმ: „სარგებლობა მათთვის; ჰაჯობის რიტუალიდან, ვაჭრობიდან, პატიებიდან, სარგებელი ამქვეყნად და ახირეთშიც".

უდიდესი სარგებელი, რაც შეიძლება მიიღოს მონამ მისი ჰაჯობიდან არის: თავჰიდის გამოვლენა ჰაჯობის რიტუალში, გულწრფელობა საქმეებში, სულის განწმენდა თაყვანისცემისთვის. თქვა ალლაჰმა:

„და შეასრულეთ ჰაჯობა და უმრა ალლაჰისთვის“.
(ალ-ბაყარა: 196)

თავჰიდის გამოხატვის ჰაჯობის დროს არის მისი ხალხის ლოზუნგი და პატივი. „მე შენს წინაშე ვარ ღმერთო ჩემო, მე შენს წინაშე ვარ, მე შენ წინაშე ვარ და არ გყავს შენ თანაზიარი, მე შენ წინაშე ვარ, დიდება და კეთილდღეობა შენ გეკუთვნის, არ არის არავინ შენი მოზიარე“. (შეთანხმებული)

თქვა შეიხულ ისლამმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „ჰაჯობა არის ალლაჰზე მორჩილება და მის წინაშე მოკრძალებულობა, ამიტომაც ეწოდა ის ნუსუქი“.

ჰაჯობის მიზნებიდან არის შუამავლის ﷺ გზით შესრულება; თქვა შუამავალმა ﷺ : „იმისთვის, რომ თქვენ ისწავლოთ ჩემგან როგორ შეასრულოთ თქვენი თაყვანისცემა; რადგანაც მე არ ვიცი შეიძლება ეს ჩემი ბოლო ჰაჯობა იყოს“. (გადმოსცა მუსლიმმა)

შუამავალზე გაყოლა არის მტკიცებულება იმისა, რომ მორწმუნე არის მართალი, მორწმუნე და შუამავლის მოსიყვარულე; თქვა ალლაჰმა:

„უთხარი: თუ გიყვართ ალლაჰი, მე გამომყევით, და ალლაჰიც შეგიყვარებთ, და გაპატიებთ თქვენს ცოდვებს, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!“ (აალ-იმრან: 31)

ყოველი თაყვანისცემა, რომელიც იქნება შესრულებული არა შუამავლის გზით, არ იქნება მიღებული ალლაჰთან; თქვა ალლაჰის შუამავალმა: „ვინც შეასრულებს საქმეს, რომელზეც არ იყო ჩვენი ბრძანება - იქნება უარყოფილი“. (გადმოსცა მუსლიმმა)

მუსლიმი ეჭიდება თავის რელიგიას და შორდება უმეცრობის დროინდელ ქმედებებს და ეს ყველაფერი მტკიცდება ჰაჯობის დროს, თქვა იბნ ალ-ყაიმმა: „შარიათი დაფუძნებულის შირქის უარყოფაზე და ეს გამოიხატება მის რიტუალებში“.

იჰრამის მდგომარეობა არის სულის გამოწვევა, რომ უარი თქვას მის სურვილებზე - არ ჩაიცვას ნაკერიანი, არ დაისხას სუნამო, არ შეიჭრას ფრჩხილები და თმები, არ გააკეთოს ქორწინება - მასში ქრება ქრება სამყაროს სიამოვნებები.

ჰაჯობაში მონა მოკრძალებულია მისი ღმერთის წინაშე და ამტკიცებს იმას, რომ დიდება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. და აცხადებს ამას თქბირებით კენჭების სროლის და ტავაფის დროს მსხვერპლშეწირვისა და თაშრიყის დღეებში; იმისთვის, რომ გული მთლიანდ მიეჯაჭვოს ალლაჰს და თავისუფალი იყოს ყველაფრისგან, გარდა ალლაჰისა.

ჰაჯობაზე ისლამის დიდება გამოივლინება თავჰიდის ხალხის ჭეშმარიტებაზე შეკრებთ, ისინი მიდიან ერთ ადგილას და სთხოვენ ერთ ღმერთს, მიყვებიან ერთ შუამავალს და კითხულობენ ერთ წიგნს.

მასში ქრება ხალხის დაყოფა ფერების, წარმომავლობის თუ სხვა ნიშნებით. იქ მხოლოდ რწმენით და ღვთისმოსაობით იწონება ადამიანი. თქვა ალლაჰმა:

„ჰეი, ადამიანებო! ერთი მამრისაგან და ერთი მდედრისაგან გაგაჩინეთ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. თქვენგან ყველაზე უფრო პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია“. (ჰუჯურათ: 13)

მასში მუსლიმები ერთიანდებიან და მყარდება მათ შორის სიყვარული და პატივისცემა. ამით ნათლად ჩანს ისლამის დიდებულება და მისი ხალხის ამაღლება. თქვა ალლაჰმა:

,,და აკავშირებს მათ გულებს. ყველაფერი რომ გაგეღო, რაც

ქვეყანაზეა, ვერ ყურანის შინაარსობრივი თარგმანი 109

შეაკავშირებდი მათ გულებს; ალლაჰმა კი შეაკავშირა ისინი.

ჭეშმარიტად˛ იგია ძლევამოსილი˛ ბრძენი“.(ალ-ანფალ: 63)

პილიგრიმი უახლოვდება მის ღმერთს ბევრი ხსენებით, სადაც არ უნდა იყოს ის, იქნება ის მგომიარე, მჯდომიარე, ამსვლელი თუ ჩამომსვლელი; მანამ, სანამ არ დასრულდება მისი ჰაჯობის რიტუალი; თქვა ალლაჰმა:

„როდესაც დაასრულებთ თქვენს ღვთისმსახურებებს˛ გაიხსენეთ ალლაჰი ისე˛ როგორც თქვენს მამებს გაიხსენებდით ან უფრო მხურვალედ“. (ალ-ბაყარა: 100)

თქვა იბნ ალ-ყაიმმა: „საუკეთესო ხალხი ისინი არიან, ვინც ბევრს იხსენიებენ თავიანთ ღმერთს მათ მუშაობაში, ხოლო საუკეთესო პილიგრიმი ის არის, ვინც უფრო მეტად იხსენიებს ალლაჰს“.

პილიგრიმს ამშვენებს საუკეთესო ზნეობა, კარგი ქცევები და კეთილი სიტყვა. თქვა ალლაჰმა:

"და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს˛ არ ეთანაცხოვროს (ცოლს)˛ არ იბილწოს“. (ალ-ბაყარა: 197)

პილიგრიმების მიმართ კარგს მოპყრობას ბევრი სარგებლობა მოაქვს, თქვა მუჯაჰიდმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „ერთხელ ვმოგზაურობდი იბნ უმართან ერთად, ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი, რომ მომემსახურებინა მისთვის; და ისიც მემსახურებოდა მე“.

თქვა იბნ რაჯაბმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „ბევრი სალაფი მოგზაურობდა თავიანთ მეგობრებთან ერთად, რომ დახმარებოდნენ მათ გზაში, და ამით მიეღოთ საზღაური ალლაჰისგან“.

ჰაჯობაში სული იწვრთნება იმისთვის, რომ უარი თქვა სურვილებზე; ის უარს ამბობს ტანსაცმელზე, სურნელებაზე და სხვა სურვილებზე; ვინც შეძლებს, რომ ჰაჯობაზე უარი თქვა თავის

სურვილებზე და მიატოვოს ცოდვები, მაშინ, მას შეუძლია უარი თქვას სურვილებსა და ცოდვებზე ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს.

მასში არის დროის და ქმედების მონაცვლეობა. ერთი დრიდან მეორეში გადასვლა, ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა და რიტუალების თანმიმდევრობა, რომელიც აუცილებელია შესრულდეს წესისამებრ, რომლის შემდეგაც ადამიანი გრძნობს გულწრფელობას თავის ქმედებებში.

კენჭების სროლის დროს პილიგრიმი ანსახიერებს ეშმაკის დამცირებას, როცა იბლისი მოვიდა იბრაჰიმთან (აბრაამთან), რომ ხელი შეეშალა მისთვის ალლაჰის ბრძანების შესრულებაში, რომ მსხვერპლად შეეწირა ალლაჰისთვის მისი შვილი ისმაილი. ხალილმა ესროლა მას ქვები მისდამი ზიზღის და სიძულვილის გამოსახატავად, ხოლო სატანა სამჯერ მაინც გამოვიდა და უჩურჩულებდა მას, რომ არ დაეკლა მისი შვილი ალლაჰისთვის. და ეს არის იმის მაგალითი, რომ ეშმაკი ყოველთვის შეგვიშლის ხელს ალლაჰის მორჩილებაში.

ვინც წარმოთქვამს თავჰიდის თალბიას მასზე არის ვალდებულება, რომ არ ეთაყვანოს არავის გარდა ალლაჰისა, არ შესთხოვოს არავის გარდა ალლაჰისა და მხოლოდ ქააბას გარშემო შეასრულოს ტავაფი. თქვა ალლაჰმა:

„მას ეკუთვნის ხელმწიფება ხოლო იმათ არაფერი აბადიათ ფინიკის ქერქიც კი“. (ალ-ფატირ: 13)

ეს არის ისლამის უდიდესი შეკრება აბრაამის რელიგიის გარშემო.

და შემდეგ, ჰეი მუსლიმებო:

ჰაჯობის წამები ძვირფასია და მისი საათები ფასდაუდებელია. თქვა ალლაჰმა:

„და ახსენეთ ალლაჰი განსაზღვრულ დღეებში“. (ალ-ბაყარა:

203)

ჰაჯობა არის ადამიანებისთვის იმქვეყნად გამგზავრებისთვის შეხსენება, პილიგრიმი ტოვებს მის ქონება, მის ოჯახს და გაემგზავრება ჰაჯობისთვის, რომელიც არის ისლამის ბოლო საფუძველი. ის სრულდება წელიწადის ბოლო თვეში, შუამავალმა ﷺ ის შეასრულა თავისი სიცოცხლის ბოლო წელიწადში თეთრი სამოსი სიკვდილის შემდეგ შესახვევის სუდარის ნიშანია, ხალხის ერთად შეკრება განკითხვის დღეს ალლაჰის წინაშე ერთად შეკრების ნიშანია.

ალლაჰს შევეფარებით ქვით ჩაქოლილი ეშმაკისგან

„და აუწყე ხალხს ჰაჯის შესახებ. მოვიდნენ შენთან ფეხითა და ჩქარმავალი აქლემებით მოვლენ ყოველი შორეული მხრიდან“. (ალ-ჰაჯჯ: 27)

ალლაჰმა დაგვლოცოს მეც და თქვენც...

მეორე ქადაგება

დიდება ალლაჰს მისი სიკეთისთვის, მადლობა მას წარმატებისა და დახმარებისთვის. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი მის დიდებულ საქმეში, და ვამოწმებ, რომ მოციქული მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია, ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს მას, მის ოჯახს და ყველა მის საჰაბას უამრავი მისალმებით.

ჰეი მუსლიმებო:

ის ვინც დარჩა და მას ჰქონდა საპატიო მიზეზი, მაგრამ გულში ჰქონდა განზრახვა შეესრულებინა ჰაჯობა ის მიიღებს იგივე საზღაურს, თუ მისი განზრახვა იყო გულწრფელი და იმარხულებს არაფატის დღეს. თქვა შუამავალმა ﷺ :

„არაფატის დღეს მარხვა შლის ცოდვებს, რომლებიც იყო წინა წელს და ცოდვებს, რომლებიც იქნება შემდეგ წელში“. (გადმოსცა მუსლიმმა)

პილიგრიმმა უნდა გაატაროს ზულ-ჰიჯჯას ბოლო ათი დღე ვედრებაში, თაჰლილში, თაქბირში და თაჰმიდში. გაამრავლოს ალლაჰის ხსენება ყველა დროს და ადგილას. თქვა შუამავალმა ﷺ : „ალლაჰისთვის არაფერია ამაზე უკეთესო. თქვეს: არც ჯიჰადი? თქვა: არც ჯიჰადი, გარდა იმ კაცისა, რომელიც გავიდა სახლიდან, გაიღო ალლაჰის გზაზე თავისი ქონება და შესწირა თავისი სული და არ დაბრუნებულა“. (გადმოსცა ალ-ბუხარიმ)

შეაგროვე თაყვანისცემის საგზური მანამ, სანამ სიკვდილი მოვა შენთან; სიცოცხლე საგზურია, დღეების მრავალრიცხოვანი, ხოლო საქმეები ცოტა.

შემდეგ იცოდეთ, რომ ალლაჰმა გიბრძანათ...

خطبة الجمعة

١٦/ ١١/ ١٤٤٥هـ

بعنوان

الحج

طاعة يصحبها طاعات

فضيلة الشيخ

د. عبد المحسن بن محمد القاسم

إمام وخطيب المسجد النبوي الشريف

مترجمة باللغة الجورجية

a-alqasim.com